

# სწავლების ხარისხის განვითარებაზე ზრუნვა ჩვენი პრიორიტეტი

BTU-ის სწავლების ხარისხისა და კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად ჩვენ მუდმივად ვაფასებთ საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსსა და განხორციელების თავისებურებებს . სწორედ ამიტომ, შევქმენით სამუშაო ჯგუფი, რომელიც საბაკალავრო პროგრამების სრულყოფისათვის დარგის სპეციალისტების მოთხოვნებსა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკებს შეისწავლის და დანერგავს . განვახორციელეთ რამდენიმე სამუშაო შეხვედრა ინდუსტრიის წამყვან ადგილობრივ თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან , განვიხილეთ პროგრამის თავისებურებები და შევიმუშავეთ რეკომენდაციები.

პროგრამის განმახორციელებელი პედაგოგების უნარების გაუმჯობესების მიზნით ჩატარდა ოთხი ტრენინგი შემდეგ საკითხებზე : სამეცნიერო ბაზების გამოყენების ხარისხის გაუმჯობესება, უნივერსიტეტის საინფორმაციო-საკომუნიკაციო პროგრამული უზრუნველყოფის - BTU CLASSROOM-ის ფუნქციონალი, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ინსტრუქციები და პლაგიატის პროგრამული უზრუნველყოფის ფუნქციონალის. ერთობლივი საბაკალავრო პროგრამების შესაქმნელად დავიწყეთ მოლაპარაკებები პარტნიორ უნივერსიტეტებთან აშშ-ში, გერმანიასა და დიდ ბრიტანეთში .

# ცვლილებები BTU-ში

## უნივერსიტეტის პერსონალის ცვლილებები

2019 წლის პირველ კვარტალში BTU-ს დაემატა ორი ახალი აკადემიური პერსონალი საინფორმაცი ტექნოლოგიებისა და ფინანსების მიმართულებით, ორი ადმინისტრაციული თანამშრომელი პროექტების მართვისა და სტუდენტური სერვის ცენტრის მიმართულებით.

დამხმარე პერსონალის მიმართულებით აყვანილი იქნა სტაჟიორი და დაიგეგმა 4 ახალი სტაჟიორის მოწვევა მეორე კვარტალში.

საჭიროებებიდან გამომდინარე ინფრასტრუქტურის სამსახურს დაემატა ერთი თანამშრომელი.

ასევე დაიგეგმა პერსონალის ზრდა და სხვადასხვა სამსახურებში არსებული ფუნქციების გადანაწილება სტუდენთა რაოდენობის ზრდასთან ერთად 2019-2020 სასწავლო წლისთვის.

## ცვლილებები ბიბლიოთეკაში

გაზაფხულის სემესტრის დაწყების წინ, გადამოწმდა ლექტორების მიერ სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა და მოხდა მისი შედარება არსებულ საბიბლიოთეკო ფონდთან.

მოხდა სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურის შესყიდვა (როგორც ბეჭდური, ასევე ელ.ვერსიების).

შეძენილი ლიტერატურა დამუშავდა საბიბლიოთეკო სტანდარტების მიხედვით და მოხდა მათი ასახვა ბიბლიოთეკის ელ.კატალოგში.

ელ. რესურსების გამოყენება, როგორიცაა ბიბლიოთეკის ონლაინ ციფრული მასალები ხელმისაწვდომია როგორც უნივერსიტეტის ტერიტორიიდან ასევე სახლიდან. სტუდენტებს ამისათვის ჭირდებათ უნივერსიტეტის ელ ფოსტით ავტორიზაცია ფაილებზე წვდომის მისაღებად.

## **ცვლილებები BTU CLASSROOM -ში**

დასრულდა კურიკულუმის და სილაბუსის ახალ ფორმებში ინფორმაციის გადატანა, რიგ შემთხვევაში განახლდა ლიტერატურა, რიგ შემთხვევაში - დაიხვეწა სასწავლო კურსების შინაარსი, შეფასებისა და სწავლა-სწავლების მეთოდები - ინფორმაციის საჭაროობის უზრუნველყოფის მიზნით სილაბუსების განახლებული ვერსიები აიტვირთა - CLASS-ROOM-ში.

## **ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში უკვე დაინერგა ფინანსური განათლების მიღების ახალი სტანდარტი**

ქართულ საგანმანათლებლო ბაზარზე ამ სიახლის დასანერგად უმსხვილესი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები გაერთიანდნენ.

ქართულ ენაზე თარგმნილი ფინანსური ლიტერატურა, ფინანსური „ქეისები“, გაცვლითი და დასაქმების პროგრამები ფინანსებში, პარტნიორი ორგანიზაციების ხელმძღვანელები ლექტორებად, FINTECH-ი და სხვა ახალი საგნები - ეს იმ მოდულთა ჩამონათვალია, რომლის ფარგლებშიც ჩვენ პროგრამის განახლება და თანამშრომლობა დავიწყეთ.

ფინანსური მიმართულების ხელმძღვანელის, მაია მელიქიძის თქმით, მესამე კურსიდან ჩვენს სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, FINTECH-ის მიმართულებით მოახდინონ იდეათა გენერირება, შემდეგ იდეიდან კომერციალიზაციამდე გაიარონ გზა მენტორების დახმარებით, რათა სტარტაპი არ იყოს ტრადიციულად გაგებული.

„ბიზნესის ნულიდან დაწყება არ არის სტარტაპი. სტარტაპი არის განსხვავებული ინოვაციური იდეა, რომელიც განსხვავდება სხვა იდეებისგან. შემდეგ უკვე სტუდენტებს სჭირდებათ ამ ყველაფრის რეალიზება, მაგრამ არ აქვთ თანხები და ჩვენ გვაქვს „დემო“ დღე, რომელიც მაისში იქნება. მაისამდე სტუდენტები ახდენენ თავიანთი იდეების გენერირებას და შემდეგ უკვე ისინი წარდგებიან დამფინანსებლების წინაშე და ფონდის დაინტერესების შემთხვევაში, შესაძლებლობა

მიეცემათ მიიღონ გარკვეული დაფინანსება, “-

განაცხადა მაია მელიქიძემ.

ფინანსური განათლების მიღების ახალი სტანდარტის დანერგვაში, ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციები

არიან: **KPMG GEORGIA**; „პროკრედიტ ბანკი“;

„ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებისა და აუდიტის რეფორმების მხარდაჭერის ეროვნული ფონდი“; „საზოგადოება და ბანკები“, „ეროვნული ბანკი“; „ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური“; „ბიდიო აკადემია“.



## საქართველოს პირველი ტექნოლოგიური ფასტივალი სიღიპონ ველი თბილისის ტექნიკურიაზა გაიმართა



26 მარტს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტისა და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს პარტნიორობის ფარგლებში,

საქართველოს პირველი ტექნოლოგიური ფესტივალისთვის, მსოფლიოს მოწინავე ტექნოლოგიური ბრენდები, ტექ-სტარტაპერები და საქართველოს ლიდერი აიტი კომპანიები, ერთ სივრცეში, ტექნოლოგიების უახლესი ტრენდების გარშემო გაერთიანდნენ. ფესტივალის ფარგლებში გაიმართა: ტექნოლოგიური ფესტივალის ოფიციალური გახსნის ცერემონია, პანელური დისკუსია, მსოფლიოს უახლესი ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების გამოფენა **SOFTWARE/HARDWARE , TECHTALKS -** მსოფლიოში არსებული უახლესი ტექტრენდების მიმოხილვა.

„SMART სტუდენტის“ ფარგლებში კომპანიებმა სტუდენტებისათვის ვაკანსიები წარმოადგინეს . აღსანიშნავია რომ საქართველოს ტექნოლოგიების ფესტივალის ფარგლებში შედგა სამუშაო შეხვედრა ტექნოლოგიების დარგის სპეციალისტებთან საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის, განხორციელების და შემდგომი რეკომენდაციების განხილვის მიზნით.

პანელური დისუსიაში მონაწილეობა მიიღეს :

- ავთო კასრაძე - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო
- ანდრო რურუა - ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის რექტორი
- მარიამ შარანგია - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო
- ნინო ენუქიძე - ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის დეკანი
- ნიკოლოზ გოგოჭური - VREX
- სანდრო კანდელაკი - SPARK • სპარკი
- გივი ბერიძე - EDISON
- ლაშა ანთაძე - SHELF NETWORK
- დაჩი ჭოლაძე - PULSAR AI

- სანდრო მქედლიშვილი - SMARTER.GE
- ლიტო აბულაძე - SMARTER.GE
- მერაბ ლაბაძე - ინოვაციური განათლების ფონდი
- დავით მირველაშვილი - კრეატიული განვითარების ცენტრი
- გურაბ პერტაია - TECHUB
- გიორგი კინწურაშვილი - BOG FINTECH
- გიორგი ესვანჭია - TTM
- გიორგი დანელია - COPTER TECH

დისკუსიის მოდერატორი - გიორგი შარაშიძე.

## TECHTALKS-ის სპიკერები:

- ხელოვნური ინტელექტი/ მანქანური სწავლება - დაჩი ჯოლაძე, PULSAR AI;
- ნივთების ინტერნეტი, მომავალი ინდუსტრიული რევოლუცია - გივი ბერიძე, EDISON;
- ბლოკჩეინ ტექნოლოგია - ლაშა ანთაძე SHELF NETWORK;
- გაფართოებული და ვირტუალური რეალობა - ნიკოლოზ გოგოჭური, VREX;
- შენობა ნაგებობების ავტომატიზირება და ჟკვიანი ტექნოლოგიები სამშენებლო სფეროში - სანდრო მჯედლიშვილი, დიტო აბულაძე, SMART-ER.GE

ფესტივალზე წარმოდგენილი კომპანიები :

HP, IBM, LENOVO, DELL, MICROSOFT, HP ENTERPRISE, SYNTAX, SPECTRE, ORIENT LOGIC, LAB, MUK, BETA, ALLMARKET.GE, GRENA, BITFURY, TECHUB, EDISON, SHELF NETWORK, VREX, PULSAR AI, SMARTER.GE, HTS



# ინდუსტრიული წამყვანი ორგანიზაციების წარმომადგენლები სცენარის ხვების


ინდუსტრიის მოწინავე კომპანიები ჩვენი მუდმივი სტუმრები არიან. სტუდენტებს ხშირად ეძლევათ შესაძლებლობა მოისმინონ მათი მასტერკლასები, პირადად გაესაუბრონ, დაუსვან კითხვები, გაიზიარონ საინტერესო გამოცდილება და მიიღონ რჩევები.

იხილეთ BTU-ში პირველ კვარტალში ჩატარებული ტრენინგების, მასტერკლასებისა და საინფორმაციო შეხვედრების ჩამონათვალი :

- სერიული ანტრეპრენერის სტეფან ფითჩის მასტერკლასი;
- FINTECH-ის მასტერკლასი საქართველოს ბანკის მიერ;
- მსოფლიო ბესტსელერის „მფრინავი პინგვინის“ ავტორისა და BRITISH AMERICAN TOBACCO-ს გენერალური მენეჯერის მასტერკლასი;

- TIMEOUT FOR STARTUP პროექტის ფარგლებში მასტერკლასების სერია ტექნოლოგიური ტრენდების შესახებ TIMEOUT, AREAL, YE და GITA-ს მხარდაჭერით ;
- ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტისა და გამომცემლობა „პალიტრა L“ -ის ერთობლივი პროექტის პრეზენტაცია ბიზნეს ლიტერატურის შესახებ და წიგნის „FUCKUP BOOK“ პრეზენტაცია , მოწვეული სპიკერი BILETEBI.GE-ს დამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი - დავით მიზანდარი;
- მულტიმედია სკოლა BTU-ის პირველკურსელთათვის - BTU MEDIALAB =
  - მსოფლიოს მოწინავე ბიზნეს გამოცემა „ENTREPRENEUR“-თან თანამშრომლობის ფარგლებში მოიაზრებს სტარტაპების და ტექნოლოგიების სფეროში ერთობლივი პროექტების ინიცირება, „ENTREPRENEUR + BTU“ ბრენდის ქვეშ პუბლიკაციების მომზადება, ნომრის მთავარი თემის გარშემო მასტერკლასების ჩატარება;
  - კომპანია CRYPTEX ის მასტერკლასები შერჩეული სტუდენტებისთვის
  - ACCA-ს პლატფორმა EDUCATION HUB - პლატფორმა შესაძლებლობას აძლევს ACCA-ს ოფიციალურ პარტნიორებს, განახოცრიელონ ფინანსური

კომპონენტის სწავლება რესურსის სრული  
მობილიზებით: სასწავლო მასალები, გამოცდის  
შესაბამისი რესურსები, ACCA-ს მიერ ავტორიზებული  
პროგრამები და სხვა.



# შეტავაზებები მაგისტრატურის ცენტრული სათვის

მხოლოდ ჩვენი მაგისტრატურის სტუდენტებისათვის  
კომპანია SYNTAX-თან პარტნიორობით ჩატრდა  
სასერტიფიკატო პროგრამა. მონაწილე სტუდენტებმა  
შეისწავლეს სამუშაო პროცესების ტექნოლოგიების  
გამოყენებით, საერთაშორისო სტანდარტების  
მიხედვით მართვა. ამასთან, მაგისტრატურის მეორე  
კურსის სტუდენტებისათვის რამდენიმე ეტაპად  
ჩატარდა ტრენინგი სამაგისტრო ნაშრომის წერასთან  
დაკავშირებით.

**ბიზნესისა და ეკონომიკის მიმართულებით 2018**  
**წელს სახელმწიფოს მიერ მთელი ქვეყნის**  
**მასშტაბით, სამაგისტრო საფეხურზე 100%იანი**  
**გრანტით დაფინანსებული 76 მაგისტრანტს**  
**შორის 8 ბიზნესისა და ტექნოლოგიების**  
**უნივერსიტეტის სტუდენტია.**



## მაგისტრატურაზე ჩაბარების მსურველთათვის ...

დავიწყეთ საერთო სამაგისტრო გამოცდების  
მოსამზადებელი ტრენინგები . ტრენინგების ციკლი  
მარტში დაიწყო და ყოველ კვირა დღეს  
მიმდინარეობს , 4 თვის განმავლობაში. ტრენინგი  
ხორციელდება განათლების ცენტრ „რენომესთან“  
ერთად და არის მეცნიერებათა დოქტორის, მარი  
დგებუაძის საავტორო პროგრამით შედგენილი.

საერთო სამაგისტრო გამოცდისთვის


მოსამზადებელი პროგრამა

BTU + RENOME



# საუკეთესო სტანდის გამოფენის განვითარების საერთაშორისო გამოფენაზე

22-23 თებერვალს უმაღლესი და პროფესიული განათლების, საზღვარგარეთ სწავლისა და სტუდენტური სერვისების მე-9 საერთაშორისო გამოფენა გაიმართა. გამოფენაში მონაწილეობა 100-ზე მეტი უნივერსიტეტს შორის ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტმაც მიიღო. განათლების საერთაშორისო გამოფენაზე მოეწყო სანდრო ვეფხვაძის საჯარო ლექცია. აღსანიშნავია, რომ გამოფენაზე ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტმა საუკეთესო დიზაინის სტენდისთვის ჭილდო მესამედ მოიპოვა.



## ხელოვნური ინტელექტის პირველი ჩატილნაციი დაგრძანებისა BTU-ში

ხელოვნური ინტელექტის ლაბორატორია კომპანია MERCEDES BENZ-ის სპონსორობით გაიხსნა.

ხელოვნური ინტელექტი განათლებაში, მედიცინაში, ტურიზმში, სამართალში, მარკეტინგში და მენეჯმენტში- ეს ის მიმართულებებია, რომლებზეც შერჩეულმა სტუდენტებმა უკვე დაიწყეს მუშაობა.


ისინი ერთი წლის მანძილზე ჩაერთვებიან ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ითანამშრომლებენ მსოფლიოს წამყვან ორგანიზაციებთან, მონაწილეობას მიიღებენ სპეციალურად მათთვის გამართულ გადამზადების პროგრამებში და აიმაღლებენ კვალიფიკაციას ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით.

# სტუდენტების წარმატება

— ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სტუდენტმა მედიცინაში ხელოვნური ინტელექტის დანერგვის რევოლუციური ფორმატი შეიმუშავა. DIGITALMED - არის პირველი ქართული ხელოვნურ ინტელექტები დამყარებული სისტემა სამედიცინო სექტორისთვის, რომელიც ქართულ ენაზე გესაუბრება და შესაძლებლობა აქვს გადაამუშაოს და გააანალიზოს მიღებული ინფორმაცია, შედეგად კი დასვას პირველადი დიაგნოზი, გაუწიოს პაციენტს შესაბამის ექიმთან ვიზიტის კონსულტაცია.

სპეციალურად შემუშავებული უნიკალური ალგორითმებით შექმნილი პროდუქტი, სრულიად განსხვავებულია და ახალი მიღგომებით ანაცვლებს დიაგნოსტიკის და ექიმთან კონსულტაციის პროცედურებს . პროდუქტი სრულიად უნიკალურია, აქვს შესაძლებლობა თვითგანვითარების, მუშაობს მეგამონაცემთა ანალიზე, დაფუძნებულია ხელოვნურ ნეირონული ქსელზე და იყენებს ნეიროლინგვისტურ პროგრამირებას.

— 12 მარტს გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში BTU-ის სტუდენტების მიერ შექმნილი აპლიკაციის პრეზენტაცია გაიმართა . გაფართოებული რეალობის კულტურულ მემკვიდრეობასთან ინტეგრირების პროექტ "AREAL"-ის საშუალებით მუზეუმის დათვალიერების პროცესი ნებისმიერი ასაკის ადამიანისათვის ბევრად უფრო სასიამოვნო ხდება . თავდაპირველად აპლიკაცია გასულ წელს ეროვნულ გალერეაში დაინერგა .



# საერთაშორისო პროექტები

ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+  
საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის  
ფარგლებში სამივე საფეხურის სტუდენტებისა და  
პერსონალის მოკლევადიანი და გრძელვადიანი  
გაცვლითი მობილობების დასაფინანსებლად  
მოვამზადეთ 8 საპროექტო განაცხადი ევროპის  
შემდეგ უნივერსიტეტებთან ერთად:

- ბრაგანჩის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი  
(პორტუგალია)
- კობლენცის გამოყენებით მეცნიერებათა  
უნივერსიტეტი (გერმანია)
- კილის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი  
(გერმანია)
- ლიმერიკის უნივერსიტეტი (ირლანდია)
- კარლოს ტექნოლოგიური ინსტიტუტი  
(ირლანდია)
- წმინდა მარიამის კოლეჯი (ირლანდია)
- რუეშოვის უნივერსიტეტი (პოლონეთი)
- რუეშოვის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი  
(პოლონეთი)

# გავლითი პროგრამის მონაცილეები

მენეჯმენტისა და ფინანსების მიმართულების  
სტუდენტები, ელენე მიქაძე და ანა გველესიანი, 2019  
წლის დასაწყისში ღირებული გაემგზავრნენ. ისინი  
სწავლის სრული დაფინანსებით 2018/2019  
სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრს ვიღნიუსის  
უნივერსიტეტში გაატარებენ.



# პონაჟისი ებიშურიცხავისათვის

BTU აბიტურიენტებს აძლევს პირველ წელს სწავლის დაფინანსების მოპოვების საშუალებას!

მსურველებმა უნდა შეავსონ აპლიკაციის ფორმა, გაგვიზიარონ ინოვაციური სტარტაპ იდეა, რომელიც ბიზნესს ტექნოლოგიებთან აკავშირებს და მიიღოს მონაწილეობა “STARTUP DEMO DAY”-ზე, სადაც გამარჯვებული გამოვლინდება.

ღონისძიება გაიმართება სილიკონ ველი თბილისის სივრცეში, 2019 წლის ივნისში.

ყველა შერჩეული აბიტურიენტისთვის საჩუქრად გაიხსნება ინგლისური ენის შემსწავლელი ელექტრონული პლატფორმა, აგრეთვე, ჩატარდება დემო დღისთვის მოსამზადებელი ვორკშოპი.

## WASHINGTON POST ბიზნესისა და ტექნოლოგიას უნივერსიტეტი მიმღინახა პრექტს ვწვედ სტატიას უთმობს

კოსმოსურ პირობებში ქართული ვაზის მოყვანის პროექტის შესასწავლად, საქართველოში სპეციალური ვიზიტით ურნალისტთა ჯგუფი იმყოფებოდა. მარსზე, შესაძლოა, ქართული ვაზი გაშენდეს. ამის შესახებ WASHINGTON POST წერს. ინიციატივა პროექტის „მეცხრე მიღენიუმი“ ნაწილია. გამოცემა აღნიშნავს, რომ საქართველო ცდილობს მსოფლიოს გააცნოს, რომ სწორედ ეს ქვეყანაა ღვინის სამშობლო. საქართველოში, ექსპერიმენტის ფარგლებში, სპეციალისტები ვაზს მარსის მსგავს ნიადაგში დარგავენ. პროექტზე მომუშავე გუნდი წლის დასაწყისში აპირებს თბილისში, ერთ-ერთ სასტუმროში შექმნას ვერტიკალური ფერმა, სადაც იატაკიდან ჭერამდე განთავსებულ სათბურში ვაზის გარდა მარწყვსაც მოიყვანენ - ვიტამინებით გაჯერებულ კენკრას, რომლის გადატანაც სხვა პლანეტაზე როცელი არ იქნება.

ვერტიკალური ფერმა, რომელიც ნაკლებ სივრცეს და  
მინიმალურ ადამიანურ რესურსს მოითხოვს,  
საშუალებას მისცემს მეცნიერებს დააკვირდნენ,  
რომელი ვაზი შეძლებს მარსის ნიადაგში არსებობას.



The Washington Post | Democracy Dies in Darkness  
When there's a story to be told,  
we bring you the facts you need to know. [Support the work](#)

Europe

## White wine on the Red Planet? Scientists in Georgia are hunting for a perfect Martian grape.



# შეთავაზება პრეზიდენტის ინდუსტრიაზმი მომუშავე პირებს-მსოფლიოს მოწინავე სამართლებრივ სახელი ესტი ინკუბაციის

თბილისის კრეატიულ ცენტრში, რომელიც  
კულტურისა და ინოვაციების ინტეგრირების მიზნითა  
და კრეატიული ინდუსტრიების სამეწარმეო  
აქტივობების მხარდასაჭერად შეიქმნა, არტ  
ინკუბატორმა დაიწყო ფუნქციონირება  
არტ ინკუბატორმა შესაძლებლობა მისცა კულტურისა  
და კრეატიულ ინდუსტრიებში მომუშავე პირებს  
შექმნათ სტარტაპები, მოეზიდათ საერთაშორისო  
პარტნიორები, მონაწილეობა მიეღოთ ადგილობრივი  
და უცხოელი ექსპერტების მიერ გამართულ  
სემინარებში.  
არტ ინკუბატორის პარტნიორია მსოფლიო  
რეიტინგის 20 საუკეთესო სამეწარმეო ცენტრებს

შორის დასახელებული ბრიტანული HENLEY CENTER FOR ENTREPRENEURSHIP, რომლმაც გამართა

კრეატიული იდეების ფესტივალი და დააწესა ინოვაციური მეწარმეობის ჰილდო.

არტ ინკუბატორის წევრება მიიღეს ცოდნა

კრეატიული სტარტაპ იდეის გენერირებიდან იდეის

კომერციალიზაციამდე, აგრეთვე, მათთვის საჩუქრად გაიხსნა ბრიტანული საბჭოს მიერ მოწოდებული

პლატფორმა ENGLISH LEARNING PROGRAMME – ENGLISH CHANNEL.

პროექტი ბრიტანეთის საბჭოს, საქართველოს

ეროვნულ მუზეუმის, ბიზნესისა და ტექნოლოგიების

უნივერსიტეტისა და HENLEY BUSINESS SCHOOL-ის

ჩართულობით ხორციელდება.



## ჩვენი მიზანი შევძლოთ საერთო სივრცა სამაცნერო-კვლევითი საქმიანობისათვის

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის კვლევითი პროექტებისა და ინოვაციების სამსახური ფოკუსირებულია კვლევებზე ციფრული ეკონომიკის, ციფრული მეწარმეობის და ციფრული ტექნოლოგიების მიმართულებით. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ მიმდინარე კვლევით პროექტებში. დამოუკიდებლად აირჩიონ მათთვის საინტერესო კვლევა, ჩაერთონ დაგეგმვის, განხორციელების და შედეგების ანალიზის პროცესში და გაიღრმავონ ცოდნა და კვლევითი უნარები.

5 თებერვალს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი ადამიანური კაპიტალის კვლევის ინდექსის შედეგების პრეზენტაცია გაიმართა.

ცოტა ხნის წინ ანალოგიური კვლევა მსოფლიო  
ეკონომიკურმა ფორუმმა ჩაატარა სხვადასხვა  
ქვეყანაში, რომელთა ჩამონათვალში საქართველო  
ვერ მოხვდა. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ თავად  
ჩაგვეტარებინა კვლევა, რომელიც გამოიყვანდა  
ადამიანური კაპიტალის ინდექსს საქართველოსთვის.  
კვლევა იგივე მეთოდოლოგიით ჩატარდა, როგორც  
ეს მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა გააკეთა.

კვლევის შედეგების მიხედვით, მდგომარეობა ასეთია  
- უნივერსიტეტი აძლევს გარკვეულ განათლებას,  
მაგრამ რეალურად ორგანიზაციებს სხვა მოლოდინი  
აქვთ. ჩვენთვის ეს უკანასკნელი პუნქტი  
განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ჩვენი მიზანია  
დეტალურად გამოვიკვლიოთ თუ რას ითხოვს  
შრომითი ბაზარი და რა სახის ცოდნა უნდა მივცეთ  
სტუდენტებს, რომ მათ ფეხი აუნიუნ ბაზრის  
მოთხოვნებს.



**ბიზნესისა და ტექნოლოგიების  
უნივერსიტეტის ინიციატივით და გაეროს  
გლობალური კომპაქტისა და გაეროს  
ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით,  
საქართველოსმასშტაბით, იწყება  
სოციალური პროექტი სახელწოდებით  
“კოდინგის სკოლა ქალებისთვის”**



პროექტი მიზნად ისახავს ქალთა როლის  
გაძლიერებას ტექნოლოგიების სფეროში, ქვეყანაში  
არსებული სტატისტიკის გაუმჯობესებას, ყველა  
რეგიონში მცხოვრებ ქალთა ჩართულობის ზრდას  
საინფორმაციო/საკომუნიკაციო  
ტექნოლოგიების სფეროში, მათი ცოდნის  
გაღრმავებას და შემდგომი დასაქმების  
ხელშეწყობას.

პროექტში მონაწილე ბენეფიციარისთვის, პროგრამა სრული დაფინანსებით განხორციელდება. პროგრამა თბილისში, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტისბაზაზე დაიწყება და ეტაპობრივად მოიცავს ბენეფიციარებს საქართველოს ყველა რეგიონიდან.

ღონისძიება ემსახურება ქალთა გაძლიერების პროცესების მხარდაჭერას. აღნიშნული პროექტის პრეზენტაცია, გაიმართება ბიზნესისა და ტექნოლოგიებისუნივერსიტეტის სტუდენტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების წინაშე, სილიკონ ველი თბილისის საპრეზენტაციო სივრცეში.

სტუდენტები შეისწავლიან დინამიური ვებ გვერდების შექმნას და მათ მართვას. პროგრამირების ენა JAVASCRIPT, NODE JS, EXPRESS JS, WEBSOCKET, JSONP, AJAX და სხვა დამატებები, HTML & CSS, ვებ ინტერფეისების და პროგრამების შედგენა, REACT.JS, ვებ აპლიკაციების ტესტირება, სერვერული მხარის (BACKEND) პროგრამირების საფუძვლები.

## თბილისის მერიის და ევროკავშირის ერთობლივი პროექტი - “სპარკი” და BTU პროექტის ფარგლებში ახალ აქტივობებს ერთობლივად განვახორციელებთ

თანამშრომლობა მოიცავს აქტივობების განხორციელებას სტუდენტური სტარტაპ იდეების აქსელერაციისათვის, სტარტაპების დემო დღეზე მონაწილეობას, სწავლების მოდულის ახალი ლიტერატურული რესურსებით მხარდაჭერას და მოდულის სწავლებისთვის აკადემიური გუნდის სისტემატიურ შევსებას .



# მანეჯერული ეკონომიკუს შესახებ სასერტიფიკაცი კურსის გირჩი ბაქჩაძე გაუძლვება

26 თებერვლიდან STAFFORDSHIRE - ის პროგრამის  
ფარგლებში დაიწყო სასერტიფიკაცი კურსი  
მენეჯერული ეკონომიკის შესახებ , რომელსაც  
გიორგი ბაქრაძე უძღვება . კურსის ფარგლებში  
ტარდება შეხვედრები შემდეგ თემებზე :

- საწარმო პროცესი და ხარჯები
- ფირმის ორგანიზაცია
- ინდუსტრიის ბუნება
- მენეჯმენტი კონკურენციის, მონოპოლიისა და
- მონოპოლისტური კონკურენციის პირობებში
- ოლიგოპოლია
- ოლიგოპოლია და თამაშთა თეორია
- ფასდადების სტრატეგია ფირმებისთვის, რომელთაც
- საბაზო ძალაუფლება გააჩნია

სულ მალე სილიკონ ველი თბილისის და  
ისრაელის სილიკონ ვადის პარტნიორობის  
ფარგლებში გლობალური სტარტაპ ფონდი  
ჭართველ სტარტაპერებს მრავალმილიონიან  
ინვესტიციასთან გაუხსნის წვდომას

ფონდის მიზანი საქართველოს სამეწარმეო  
ეკოსისტემის ფორმულირების პროცესის  
მხარდაჭერა, მაღალტექნოლოგიური, ინოვაციური  
სტარტაპების აღმოჩენა და მათი საერთაშორისო  
ბაზარზე კომერციალიზაციის ხელშეწყობაა.  
ისრაელის სილიკონ ვადის ინვესტორების მიერ,  
კაპიტალის ინვესტირება განხორციელდება  
ნებისმიერ ეტაპზე მყოფ სტარტაპში, რომელიც  
მუშაობს აქტუალური ტექტრენდების ინდუსტრიაში:  
ხელოვნური ინტელექტი, კიბერუსაფრთხოება,  
ციფრული მედია, ელექტრონული კომერცია,  
მობილური აპლიკაციები, ფინტექი, P2P  
პლატფორმები, ვირტუალური და გაფართოებული  
რეალობა, თამაშების ინდუსტრია, ნივთების  
ინტერნეტი IOT, ბლოკჩეინი. განიხილება აგრეთვე  
სხვა ინდუსტრიებში არსებული, გამორჩეული და  
ინოვაციური სტარტაპების დაფინანსების  
შესაძლებლობებიც.

დარეგისტრირებული კანდიდატებიდან, მხოლოდ  
შერჩეული სტარტაპები შეხვდებიან სილიკონ ვადის  
ენჯელ ინვესტორებს. პარტნიორობის  
ინდივიდუალური პირობები განხილული იქნება  
ყველა შერჩეულ კანდიდატთან.

გლობალური სტარტაპ ფონდის მხარდაჭერია  
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი  
განვითარების სამინისტროს ინიციატივის და  
ტექნოლოგიების სააგენტო, რომელიც აგრეთვე  
განიხილავს შერჩეული სტარტაპების დაფინანსების  
შესაძლებლობებს, DOLLAR TO DOLLAR BASIS  
ინიციატივის ფარგლებში.

გლობალური სტარტაპ ფონდის მხარდაჭერია  
ისრაელის ტექნიკური საქართველოში, რომელიც  
შერჩეულ სტარტაპებს უზრუნველყოფს  
დეველოპერების და ტექნოლოგიების მთავარი  
მენეჯერის სერვისებით 5 თვის განმავლობაში,  
აგრეთვე ფასდაკლებული სერვისებით ვებ დიზაინის,  
სტრატეგიული კონსულტაციის, მარკეტინგული  
კონსულტაციის, ფინანსური და მენეჯერული  
კონსულტაციის, ლეგალური მხარდაჭერის  
მიმართულებით, რაც ჯამში 30,000\$-ის ღირებულებას  
შეადგენს.

ფონდის პრეზენტაცია 29 მაისს სილიკონ ველი  
თბილისის სამუშაო სივრცეში გაიმართება .

